როსტოვში...

როსტოვი. "როსტსელმაშის" სტადიონი. 19 ივნისი.

ასკ (როსტოვი) – "დინამო" (თბილისი) 1:2 (1:0).

ასკ: ივანოვი, ფესენკო, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, ზიმინი, ბუროვი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

"დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხარტიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები – 3:2 "დინამოს" სასარგებლოდ.

როსტოველები, როგორც წესი, შინ ძალიან ძლიერად თამაშობენ, მით უმეტეს, ახლა, როცა მათ ფეხი მოიკიდეს ლიდერთა ჯგუფში და კარგი პერსპექტივებიც აქვთ.

ეს "დებიუტიდანვე" ცხადი იყო. მართალია, არმიელთა კართან ერთხელ შეიქმნა სიტუაცია, როცა იამანიძისა და ივანოვის შეტაკების შედეგად გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ჩერტკოვმა გადაარჩინა თავისი გუნდი გოლს და მაპინძლები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ, რასაც მოჰყვა ბუროვის მიერ გატანილი ბურთი – 1:0.

დინამოელებს კარგა ხანს უხდებოდათ მეტოქის იერიშების მოგერიება და როცა დაცვამ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, თავიანთი სიტყვა თქვეს თავდამსხმელებმაც. დაიწყო არმიელთა გუნდის კარის ნამდვილი შტურმი.

ტაიმს ცვლილება ანგარიშში არ შეუტანია. შესვენების შემდეგ დინამოელები კვლავ მძლავრად, ეფექტურად უტევდნენ მეტოქეს. კვლავ წარმატებით ითამაშა მარცხენა ფრთაზე მესხმა. მას მხარი აუბეს ბარქაიამ, იამანიძემ და ნათელი შეიქნა, რომ როსტოველები ვერ გადაურჩებოდნენ გოლს. ეს გოლი, მართლაც, გატა-ნილ იქნა, რაშიც საკმაოდ "აქტიური" მონაწილეობა მიიღო ჩერტკოვმა: 26-ე წუთზე მან თავით შეუცვალა მიმართულება დათუნაშვილის დარტყმულ ბურთს და... ანგარიშიც გათანაბრდა – 1:1.

დარჩენილ დროში თბილისელები თითქმის არ მოსცილებიან როსტოველთა კარს. 84-ე წუთზე მცველებმა წააქციეს გარღვევაზე გასული მესხი. "დაზარალებულმა" თვითონ დაკიდა კართან საჯარიმო დარტყმა, და დათუნაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში – 2:1.

ასე შეძლო თბილისის "დინამომ" თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა ეს ძნელი მატჩი.

ა. კრიკუნი.

"ლელო", 21 ივნისი, 1966 წ.